კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ФИНЕДУ

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	**მე-9 კლასი** **მე-10 კლასი** **მე-11 კლასი**
მხატვრული ნაწარმოები(დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი - „უბედური დიდვაჭარი“.
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ [ფინედუს ვებგვერდს])*	ფული; დაზოგვა; დაზღვევა; პირადი ფინანსების მართვა (საჭიროება და სურვილი, პრიორიტეტების დალაგება შესაძლებლობების მიხედვით), კერძო და საჯარო საკუთრება; მომხმარებლის უფლებები; ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება; ინვესტიცია.
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	**შემთხვევების განხილვა (ქეისებით სწავლება),** რადგან ამ მეთოდით სწავლებისას უპირატესობა ენიჭება პრობლემური სწავლების პრინციპების გამოყენებას – რეალური პრობლემების გადაჭრის უნარების გამომუშავებას. **მეთოდი მოსწავლეებს უვითარებს:** . შემოქმედებით აზროვნებას; . ანალიტიკურ აზროვნებას; . გუნდში მუშაობის უნარს; . რეალური პრობლემების გადაჭრის უნარს; . უმარტივესი განზოგადების უნარს; . პრეზენტაციის უნარს; . კითხვის ფორმულირებასა და პასუხის არგუმენტირების უნარს.

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	ტექსტი სტანდარტულად არ ახსნილა. **ეს იყო გაკვეთილი-ვიქტორინა,** რომლის მიზანიც იყო: **მოსწავლეებს შემთხვევების განხილვის შედეგად ესწავლათ:** • გააზრების, ანალიზის, დასკვნების გამოტანისა უნარი; • განვითარებოდათ სტრატეგიული და ფინანსური დაგეგმარების, დასკვნების არგუმენტირებულად მიღების უნარი; • კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. გაკვეთილი-ვიქტორინა ჩატარდა სკოლაში 2024 წლის 9 მაისს. მისი ხანგრძლივობა შეადგენდა საათ-ნახევარს. **იგავ-არაკი დაყოფილი იყო ეპიზოდებად/ქეისებად(4 ტურად)**და თითოეული ქეისის გაცნობის შემდეგ წინასწარ მომზადებული თემატური კითხვების საშუალებით მოსწავლეებს უნდა გაეაზრებინათ მონაკვეთი და ემსჯელათ პერსონაჟების საქციელზე, სურვილებზე, გადაწყვეტილებებზე, გაეაზრებინათ ფინანსური განათლების საკითხები, მასთან დაკავშირებული გამოწვევები, სირთულეები, შესაძლებლობები და გაეკეთებინათ შესაბამისი დასკვნები ტექსტიდან გამომდინარე. პასუხების გაცემისას მოსწავლეებს უწევდათ „დროში მოგზაურობა“, რადგან არაკში აღწერილი სიტუაცია უნდა გადმოეტანათ თანამედროვეობაში და პასუხების გაცემისას, შეძლებისდაგვარად, გამოეყენებინათ ძირითადი საბანკო ტერმინები და აეხსნათ ისინი. **პირველი ტურის ქეისი და კითხვები:** პირველი ტურში გუნდებს ეძლევათ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკის -„უბედური დიდვაჭარი“ - დასაწყისი ეპიზოდი. „ერთ დიდვაჭარს, ღმერთის არა სწამდა. ერთხელ მთელი თავისი მონაგებით პური იყიდა: თუ მომავალ წელს მცირე მოსავალი მოვა, ერთ პურს სამი-ოთხი პურის ფასად გავყიდიო. მომავალ წელს დიდი რაოდენობით მოსავალი მოვიდა. ვაჭარმა კვლავ იაფად იყიდა, ფიქრობდა, მომავალ წელს უკეთესად გავყიდიო, მაგრამ ყოველ შემდეგ წელს მეტი და მეტი მოსავალი მოდიოდა. ვაჭარს პური და ხორბალი დაულპა, მთელი მისი მონაგები განიავდა და აღარაფერი დარჩა.“**მოსწავლეებმა წაკითხვის შემდეგ უნდა უპასუხონ შემდეგ კითხვას:** 1. სწორად ჰქონდა თუ არა პირადი ბიუჯეტი ანუ ფინანსური გეგმა შედგენილი დიდვაჭარს საკუთარი ფინანსური კეთილდღეობის მისაღწევად? რატომ ფიქრობთ ასე და თქვენ რა ცვლილებას შეიტანდით მის ფინანსურ გეგმაში? **მეორე ტურის ქეისი და კითხვები:** მეორე ტურში გუნდები აგრძელებენ იგავის კითხვასა და გაცნობას. ეძლევათ შემდეგი ეპიზოდი: „ვაჭარმა აიღო რაც კი ცოლს სამკაულები გააჩნდა და წავიდა საფრანგეთში: გაყიდა, ივაჭრა, იმდენი ქონება დააგროვა, დათვლას ვერ აუდიოდა. შინ აღარ დაბრუნდა, რადგან სიხარბემ სძლია. ეგონა, სხვაგან წავალ და უფრო მეტ სარგებელს ვნახავო. ჩაჯდა ხომალდში, მაგრამ აღელდა ზღვა, დაემსხვრა ნავი და მთელი მისი ქონება წყალმა შთანთქა.

	თავად ერთს ფიცარზე შერჩა და ტალღამ ნაპირზე გაიყვანა. დიდად შეწუხებული დიდვაჭარი ერთ ქალაქში მივიდა, იპოვა იმ ადგილის პატრონი და თავისი თავგადასავალი უამბო. მეპატრონემ უთხრა: რადგან მდიდარი კაცი ასე დაზარალებულხარ, ერთი წელი აქ იყავი, ჩემი მამულის მოურაობას მოგცემ და უფრო მეტი ქონება დააგროვეო. დადგა ვაჭარი მოურავად. პირველად პური და ბრინჯი მოიპარა, ვაითუ ცოტა მერგოსო. ერთი წლის დასრულების შემდეგ დიდძალი ქონება დაუგროვდა და თქვა: "ავი საქმე მიქნიაო". დაიწყო მოპარულის თავისი ბეღლიდან ამოღება და პატრონის ბეღელში ჩაყრა. ერთხელაც პატრონის ბეღლისკენ მიმავალი დიდვაჭარი დაინახეს. ეგონათ იპარავსო და პატრონს აუწყეს. პატრონი გაბრაზდა, წაართვა დაგროვილი ქონება და ქვეყნიდან გააძევა.“ **მოსწავლეებმა წაკითხვის შემდეგ უნდა უპასუხონ შემდეგ კითხვებს:** 1. რამდენად სწორად მიიღო ცოლის სამკაულები დიდვაჭარმა? რატომ ფიქრობთ ასე? 2. იცოდა რამე თუ არა დანაზოგის ან გაუთვალისწინებელი ხარჯების, ან დაზღვევის შესახებ დიდვაჭარმა? რატომ ფიქრობთ ასე და რას ურჩევდით მას? 3. არის თუ არა რამე თაღლითური დიდვაჭარის საქმიანობაში ამ ეპიზოდის მიხედვით? რატომ ფიქრობთ ასე? 4. რას ურჩევდით ადგილის პატრონს საკუთარი ქონების დაცვის მიზნით? **მესამე ტურის ქეისი და კითხვები:** მესამე ტურში გუნდები კვლავ აგრძელებენ იგავის კითხვასა და გაცნობას. ეძლევათ შემდეგი ეპიზოდი: „წავიდა მტირალი დიდვაჭარი, მივიდა ზღვის პირას და ნახა მომავალი ნავი, რომელშიც მეფის ათი ვაჭარი ისხდა; მათაც მოუყვა რაც გადახდა. ვაჭრებს შეებრალათ, თითომ თითო ძვირფასი თვალი მისცა და გაუშვეს. დიდვაჭარმა ხუთი თვალი ძონძებში გამოკრა, ხუთი კი პირში დამალა. გზაში სამი მეკობრე შეხვდა. გაესაუბრნენ და მან ხმა არ გასცა. პირში აყაფი (ხის აღვირი) ედო და მეკობრეებს მუნჯი ეგონათ. ერთმან თქვა: გავძარცვოთო. მეორემ თქვა: რა წავართვათო? მესამემ თქვა: არაკად თქმულა, თორმეტნი შიშველს ნიფხავსა ხდიდნენ და ვერ გახადესო. ამ სიტყვებზე ვაჭარს გაეცინა და პირიდან ორი თვალი გადმოუვარდა. მეკობრეებმა შეიპყრეს და პირიდან დარჩენილი სამი თვალიც ამოუღეს, ხოლო ხუთი თვალი, რომელიც ძონძებში ჰქონდა დამალული, ვერ უპოვეს. წავიდნენ მეკობრეები ქალაქში და თვლების გაყიდვა გადაწყვიტეს. ქალაქში მეფის ვაჭრების კაცები დახვდნენ, იცნეს თვლები, წაართვეს და ქურდებს სიკვდილი მიუსაჯეს.

	მალე დიდივაჭარიც მივიდა ქალაქში და მანაც თვლების გაყიდვა გადაწყვიტა. მისი თვლებიც იცნეს, წაართვეს და მოსაკლავად წაიყვანეს. სიკვდილის დასჯის ადგილზე ის ვაჭრები დახვდნენ, რომელთაც თვლები აჩუქეს. დიდვაჭარი შეეხვეწა: - თქვენ რომ ათი თვალი მომეცით, ხუთი მეკობრეებმა წამართვეს და ხუთი ამ კაცებმა, ეხლა კი სიკვდილით მსჯიანო. ვაჭრებმა დაიფიცეს, რომ თვლები მართლაც მათი მიცემული იყო, აღარ მოაკვლევინეს და მეფეს ყველაფერი აუწყეს. **მოსწავლეებმა წაკითხვის შემდეგ უნდა უპასუხონ შემდეგ კითხვებს:** 1. რა მთავარი შეცდომა დაუშვა დიდვაჭარმა ძვირფასი თვლების შენახვისას? 2. როგორ შეაფასებთ მეკობრეების საქციელს, რამდენად კეთილსინდისიერად გამდიდრდნენ ისინი და ვის შეიძლება მიაკითხოს ამ შემთხვევაში დაზარალებულმა? **მეოთხე ტურის ქეისი და კითხვები:** მეოთხე ტურში ეცნობიან იგავის ბოლო ეპიზოდს. „მეფემ ბრძანა: რადგან ამდენი ჭირი უნახავს, ჩემი სალაროს უხუცესად დავაყენებ და დიდ ქონებას დამიგროვებსო. მიაბარეს დიდვაჭარს სალარო. ერთ დღეს სალაროს კლიტე (ბოქლომი) გაფუჭდა, დიდვაჭარმა მცირეოდენი ფული არ გაიმეტა, რომ კლიტე მჭედელს გაეკეთებინა. თავად აიღო ქვა, კედელზე მიადო და მეორე ქვა დაჰკრა; თურმე კედელი ცალპირი აგურის იყო, გადაიქცა და მეფის ოჯახის სახლი გამოჩნდა. საჭურისებმა ყველაფერი მეფეს მოახსენეს. დიდვაჭარს ისევ ქურდობა დააბრალეს, შეიპყრეს და ორივე თვალი აღმოთხარეს.“ **მოსწავლეებმა წაკითხვის შემდეგ უნდა უპასუხონ შემდეგ კითხვებს:** 1. დაზოგვის რომელი მეთოდები გამოიყენა ამ ეპიზოდში დიდვაჭარმა: ფორმალური თუ არაფორმალური? 2. რას გააკეთებდით თქვენ მის ადგილზე? **თითო სწორ პასუხზე** ჟიური აფასებთ მათ ვირტუალური 25 ლარით. შედეგები დამოკიდებული იქნება იმაზე, რომელი გუნდი უფრო მეტ შეკითხვას გასცემს პასუხს წინასწარ მომზადებულ კითხვებზე და გამოიმუშავებს მეტ ფულს. ერთნაირი ქულების შემთხვევაში მათ დამატებით მიეცემათ ფინედუს პლატფორმაზე დადებული ტესტებიდან კითხვები ბლიც ტურის ფორმატში. **ვიქტორინაში მონაწილეობდა სამი გუნდი (კლასების მიხედვით).** ტექსტი ყველასთვის უცნობი იყო.

	ვიქტორინა შედგებოდა 4 ტურისგან. მოსწავლეებს კითხვებზე პასუხის გასაცემად ჰქონდათ 7 წუთი. ქეისსა და კითხვებს გუნდები ისმენდნენ ზეპირადაც და ურიგდებოდათ ნაბეჭდი სახითაც. დრო მხოლოდ ამის შემდეგ ირთვებოდა. **პასუხებს აფასებდა ჟიური,** რომლის შემადგენლობაში იყო ფინედუს სერტიფიცირებული ტრენერი მაია ლაპიაშვილი და სკოლის დირექტორი თამარ ქეთელაური. თითოეული სწორი პასუხი ფასდებოდა 25 ვირტუალური ლარით. გამარჯვებისთვის საჭირო იყო ყველაზე მეტი „ფულის გამომუშავება“. თანაბარი „მოგების“ დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებული იყო ბლიც-ტური დამატებითი კითხვებით, რომლის გამართვაც არ დაგვჭირდა, რადგან მცირედი უპირატესობით გაიმარჯვა მეცხრე კლასის გუნდმა. **თითოეული ტურის შემდეგ მოსწავლეები იღებდნენ კვალიფიციურსა და სანდო უკუკავშირს ჟიურის წევრ ფინედუს ტრენერისგან.**
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	გაკვეთილი-ვიქტორინის ბოლოს მოსწავლეებმა ისაუბრეს იგავის პერსონაჟზე, შეადგინეს მისი წარმოსახვითი ფინანსური და სტრატეგიული გეგმა, შედგენილი გეგმიდან გამომდინარე ჩამოწერეს მის მიერ დაგეგმარებისას დაშვებულიშეცდომები, კორექტივები შეიტანეს გეგმაში და საბოლოოდ დაადგინეს, რომ ცოდნა ფულია და ფულის სწორად, პატიოსნად გამომუშავება, მიზნობრივი ხარჯვა და დაბანდება კი ადამიანისგან ბევრ უნარსა და ცოდნას მოითხოვს. მოსწავლეები ამ ეტაპზე უკვე აღარ იყვნენ ერთმანეთის კონკურენტები და ამ ყველაფერს აკეთებდნენ გუნდურად ფინედუს სერტიფიცირებული ტრენერისა და საგნის მასწავლებლის ფასილიტაციითა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. ერთმანეთთან დისკუსიის შემდეგ მივიდნენ იმ აზრამდე, რომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ნაბიჯი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას უკავშირდება და იმისათვის, რომ თითოეულ ასეთ მომენტს მომზადებულნი შეხვდნენ და ყველა ახალ გამოწვევას მარტივად გაუმკლავდნენ, მნიშვნელოვანია, მასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხები წინასწარ გაითვალისწინონ, გააანალიზონ და დაგეგმონ. ეს ყველაფერი ნათლად დაინახეს თითოეული ქეისის განხილვის შემდეგ დამდგარი შედეგისა და მათ მიერ პერსონაჟის ფინანსური და სტრატეგიულ გეგმაში შეტანილი ცვლილებებით გამოწვეული სავარაუდო შედეგების შეპირისპირებით.